**INTEGRITY-ის მდგრადობის სამოქმედო გეგმა**

**2022-2023**

| ღონისძიება | აქტივობის აღწერა | თარიღი | შემსრულებელი |
|---|---|---|---|
| **საინფორმაციო ვიდეო-რგოლები პირველკურსელთათვის** | 1. მომზადდება ვიდეო რგოლები სტრუქტურული ერთეულების და ბიბლიოთეკის ჩართულობით, სადაც აღწერილი იქნება მათ მიერ შეთავაზებული სტუდენტთა მხარდამჭერი სერვისები.<br><br>სტრუქტურული ერთეულების მიერ უნდა მომზადდეს შესაბამისი საპრეზენტაციო მასალა, სცენარითა და ვიზუალური გაფორმებით.<br><br>ვიდეო რგოლი შესაძლებელია შეიქმნას Camtasia ან Padlet პლატფორმების გამოყენებით.<br><br>2. ვიდეო რგოლები განთავსდება YOUTUBE-ზე და დაეგზავნებათ სტუდენტებს LMS-ით.<br><br>3. მომზადდება ნიუსი ჩატარებული ღონისძიების შესახებ, რომელიც აიტვირთება თსუ-ს ვებ-გვერდზე და პროექტის გვერდზე. | 1-15 სექტემბერი | PR, სტრუქტურული ერთეულები, ხარისხის სამსახური, დისტანციური განათლების ცენტრი, თსუ-ს ბიბლიოთეკები |
| **ღია კარის დღე დოქტორანტებისთვის** | 1. სხვადასხვა სტრუქტურული დეპარტამენტის წარმომადგენლები გააცნობენ თსუ-ს დოქტორანტებს უნივერსიტეტში არსებულ სერვისებს, აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკასა და საბიბლიოთეკო რესურსებს.<br><br>2. მომზადდება ნიუსი ჩატარებული ღონისძიების შესახებ, რომელიც აიტვირთება თსუ-ს ვებ-გვერდზე და პროექტის გვერდზე. | 10.10.2022 | სადისერტაციო საბჭო, სამეცნიერო დეპარტამენტი, სასწავლო დეპარტამენტი, ხარისხის სამსახური, საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი, თსუ-ს ბიბლიოთეკები და სხვ. |
| **ტრენინგები სტუდენტებისთვის აკადემიურ კეთილსინდისიერებასა** | ტრენინგები ტარდება ყოველთვიურად, თვეში 8 საათი, სამეცნიერო ბიბლიოთეკის ბაზაზე | 2022-2023 წლები | PR, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, |

| | | | |
|---|---|---|---|
| და აკადემიური წერის საკითხებზე | | | სამეცნიერო ბიბლიოთეკა |
| **პლაგიატის პრევენციის საერთაშორისო დღე** | 1. მომზადდება 3-5 წუთიანი ვიდეო რგოლი თსუ-ს აკადემიური პერსონალის, მეცნიერ თანამშრომლებისა და დოქტორანტების ჩართულობით აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვისა და პლაგიატის პრევენციის მნიშვნელობაზე. ვიდეო რგოლში ყურადღება გამახვილდება პროექტის შედეგებზე.<br><br>2. ვიდეო რგოლი განთავსდება YOUTUBE-ზე და დაეგზავნებათ სტუდენტებს LMS-ით.<br><br>3. მომზადდება ნიუსი ჩატარებული ღონისძიების შესახებ, რომელიც აიტვირთება თსუ-ს ვებ-გვერდზე და პროექტის გვერდზე. | 19.02.2023 | ხარისხის სამსახური, სამეცნიერო ბიბლიოთეკა, სადისერტაციო საბჭო, PR, დისტანციური განათლების ცენტრი და სხვ. |
| **საინფორმაციო დღე სკოლის მოსწავლეებისთვის** | 1. ონლაინ შეხვედრა სკოლის მოსწავლეებთან (საბაზო და საშუალო საფეხური) პროექტ **INTEGRITY-ის** მიზნების, შედეგების, უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული ღონისძიებების შესახებ.<br><br>2. მომზადდება ნიუსი ჩატარებული ღონისძიების შესახებ, რომელიც აიტვირთება თსუ-ს ვებ-გვერდზე და პროექტის გვერდზე. | მარტი, 2023 | ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, თსუ საბავშვო უნივერსიტეტი |
| **ტრენინგები აკადემიური პერსონალისთვის Turnitin-ის გამოყენებაზე** | 1. დაინტერესებული აკადემიური პერსონალისთვის გაიმართება ტრენინგები შემდეგ საკითხებზე: Moodle-ზე დავალებების და ტესტების შექმნა, ამ დავალებებში Turnitin-ის გამოყენება, Turnitin-ის შესაძლებლობები და ფუნქციების, უკუკავშირის სისტემა. | სემესტრში 2-ჯერ | ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური |